ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია 25.06.2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №18

გეოგრაფიული ობიექტის, მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების შენობა-ნაგებობისათვის გამონაკლისის წესით, ადილარ ჩართოლანის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ:

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 02/03/2018წ. №-316. წარმოდგენილ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს ინიციატივა, გეოგრაფიულო ობიექტის: **მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების შენობა-ნაგებობისათვის** საქართველოს **დამსახურებული ექიმის,უმაღლესი კატეგორიის ქირურგისა და გინეკოლოგის,ღირსების ორდენის მფლობელის** ადილარ ჩართოლანის სახელის მინიჭების შესახებ საკითხი. ვინაიდან საქრთველოს კანონმდებლობა **გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის პირთან დაკავშირებულ სახელდებას ითვალისწინებს პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ იმსჯელა ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობაზე. საკრებულომ გადაწვეტილების მიღებისას გაითვალისწინა ადილარ ჩართოლანის** განსაკუთრებული ღვაწლი ერის და სვანეთის მოსახლეობის წინაშე, გაითვალისწინა ის გარემოება რომ , სწორედ ამ სავადმყოფოს უკავშირდება ადილარ ჩართოლანის მოღვაწეობის დაწყება მესტიის მუნიციპალიტეტში, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მაღალი პროფესიონალიზმით და დიდი პასუხისმგებლობით ემსახურებოდა საკუთარ ხალხს. ამ განსაკუთრებული დამსახურებების, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს 02/03/2018წ. №-316 მომართვის, მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების სამედიცინო პერსონალის ერთობლივი განცხადების, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისის დასკნის, **„ადგილობრივი თვითმმართველობის** კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24 მუხლის „1“-ლი პუნქტის „ა.ე“-ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №-239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მიზანშეწონილად მიჩნეულ იქნას, გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის პირთან დაკავშირებული სახელდების წესიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ გადაწვეტილება და მესტიის მუნიციპალიტეტის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების შენობა-ნაგებობას მიენიჭოს: დამსახურებული ექიმის,უმაღლესი კატეგორიის ქირურგისა და გინეკოლოგის,ღირსების ორდენის მფლობელის ადილარ ჩართოლანის სახელი და გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი რედაქციით: ,,ადილარ ჩართოლანის სახელობის მესტიის მინიციპალიტეტის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება“

2.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზუგდიდი. გრ. ქობალიას ქ.N 12)

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე